



ვებ გვერდი

25/12/2015

სარეგისტრაციო კოდი

190020020.35.152.016244

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N36

2015 წლის 25 დეკემბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „და“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 25 დეკემბრის N41 დადგენილება (matsne.gov.ge, 26/12/2014, 190020020.35.152.016205)

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი

თავი I

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,769.7	10,935.0	4,785.9	6,149.1	6,093.4	0.0	6,093.4
გადასახადები	2,248.0	1,750.0	0.0	1,750.0	2,400.0	0.0	2,400.0
გრანტები	9,791.9	8,638.2	4,785.9	3,852.3	3,313.4	0.0	3,313.4
სხვა შემოსავლები	729.8	546.8	0.0	546.8	380.0	0.0	380.0
ხარჯები	5,552.0	6,464.9	134.1	6,330.8	5,618.9	0.0	5,618.9
შრომის ანაზღაურება	1,217.2	1,477.3	0.0	1,477.3	1,491.2	0.0	1,491.2
საქონელი და მომსახურება	1,266.1	1,327.0	46.1	1,280.9	980.7	0.0	980.7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	180.5	155.7	0.0	155.7	122.6	0.0	122.6
სუბსიდიები	2,042.4	2,636.6	0.0	2,636.6	2,689.6	0.0	2,689.6
გრანტები	2.3	181.4	0.0	181.4	12.0	0.0	12.0
სოციალური უზრუნველყოფა	348.5	626.8	56.0	570.8	321.0	0.0	321.0
სხვა ხარჯები	495.0	60.1	32.0	28.1	1.8	0.0	1.8
საოპერაციო სალდო	7,217.7	4,470.1	4,651.8	-181.7	474.5	0.0	474.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,314.9	9,826.2	8,849.5	976.7	211.0	0.0	211.0
ზრდა	4,464.1	9,931.2	8,849.5	1,081.7	211.0	0.0	211.0
კლება	149.2	105.0	0.0	105.0	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	2,902.8	-5,356.1	-4,197.7	-1,158.4	263.5	0.0	263.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,677.9	-5,599.5	-4,198.3	-1,401.2	0.0	0.0	0.0
ზრდა	2,677.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	2,677.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	5,599.5	4,198.3	1,401.2	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	5,599.5	4,198.3	1,401.2	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-224.9	-243.4	-0.6	-242.8	-263.5	0.0	-263.5

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
კლება	224.9	243.4	0.6	242.8	263.5	0.0	263.5
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	0.0	0.2
საშინაო	224.9	243.4	0.6	242.8	263.5	0.0	263.5
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12,918.9	11,040.0	4,785.9	6,254.1	6,093.4	0.0	6,093.4
შემოსავლები	12,769.7	10,935.0	4,785.9	6,149.1	6,093.4	0.0	6,093.4
არაფინანსური აქტივების კლება	149.2	105.0	0.0	105.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	10,241.0	16,639.5	8,984.2	7,655.3	6,093.4	0.0	6,093.4
ხარჯები	5,552.0	6,464.9	134.1	6,330.8	5,618.9	0.0	5,618.9
შრომის ანაზღაურება	1,217.2	1,477.3	0.0	1,477.3	1,491.2	0.0	1,491.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,464.1	9,931.2	8,849.5	1,081.7	211.0	0.0	211.0
ვალდებულებების კლება	224.9	243.4	0.6	242.8	263.5	0.0	263.5
ნაშთის ცვლილება	2,677.9	-5,599.5	-4,198.3	-1,401.2	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6093,4 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის	2015 წლის გეგმა		2016 წლის პროექტი	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

	ფაქტი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,769.7	10,935.0	4,785.9	6,149.1	6,093.4	0.0	6,093.4
გადასახადები	2,248.0	1,750.0	0.0	1,750.0	2,400.0	0.0	2,400.0
გრანტები	9,791.9	8,638.2	4,785.9	3,852.3	3,313.4	0.0	3,313.4
სხვა შემოსავლები	729.8	546.8	0.0	546.8	380.0	0.0	380.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2400,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	2,248.0	1,750.0	0.0	1,750.0	2,400.0	0.0	2,400.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	700.0	0.0	700.0
ქონების გადასახადი	2,248.0	1,750.0	0.0	1,750.0	1,700.0	0.0	1,700.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,127.1	765.0	0.0	765.0	1200.0		1200.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	39.4	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	55.6	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,025.9	930.0	0.0	930.0	445.0	0.0	445.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3 313,4 ათასი ლარის ოდენობით

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი
გრანტები	9,791.9	8,638.2	3,313.4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	97.3	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9,791.9	8,540.9	3,313.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,321.4	3,755.0	3,313.4

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,220.2	3,645.0	3,203.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	101.2	110.0	110.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6,470.5	4,785.9	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	2,859.7	2,690.9	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1507.3	1514.2	0.0
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	2103.5	580.8	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 380,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	729.8	546.8	380.0
შემოსავლები საკუთრებიდან	332.8	319.7	210.0
პროცენტები	46.5	113.7	0.0
რენტა	286.3	206.0	210.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	269.4	200.0	200.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	16.9	6.0	10.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	116.7	128.4	100.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	98.8	116.4	88.0
სანებართვო მოსაკრებელი	35.1	5.0	5.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	63.7	111.4	83.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	17.9	12.0	12.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	17.9	12.0	12.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	200.7	98.7	70.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	79.6	0.0	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5 618,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5,552.0	6,464.9	134.1	6,330.8	5,618.9	0.0	5,618.9
შრომის ანაზღაურება	1,217.2	1,477.3	0.0	1,477.3	1,491.2	0.0	1,491.2
საქონელი და მომსახურება	1,266.1	1,327.0	46.1	1,280.9	980.7	0.0	980.7
პროცენტი	180.5	155.7	0.0	155.7	122.6	0.0	122.6
სუბსიდიები	2,042.4	2,636.6	0.0	2,636.6	2,689.6	0.0	2,689.6
გრანტები	2.3	181.4	0.0	181.4	12.0	0.0	12.0
სოციალური უზრუნველყოფა	348.5	626.8	56.0	570.8	321.0	0.0	321.0
სხვა ხარჯები	495.0	60.1	32.0	28.1	1.8	0.0	1.8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 211,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,314.9	9,826.2	8,849.5	976.7	211.0	0.0	211.0
ზრდა	4,464.1	9,931.2	8,849.5	1,081.7	211.0	0.0	211.0
კლება	149.2	105.0	0.0	105.0	0.0	0.0	0.0

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 211,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი
წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	50.9	691.7	0.0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.8	1.0

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,330.0	8,610.7	210.0
განათლება	69.6	546.0	0.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0.1	80.3	0.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	13.5	1.7	0.0
სულ ჯამი	4,464.1	9,931.2	211.0

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	ათასი ლარი 2016 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	149.2	105.0	0.0
ძირითადი აქტივები	19.9	0.0	0.0
მატერიალური მარაგები	7.8	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	121.5	105.0	0.0
მიწა	121.5	105.0	0.0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0.0	0.0	0.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,284.0	3,052.7	650.5	2,402.2	2,324.5	0.0	2,324.5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,997.0	2,889.9	650.5	2,239.4	2,201.9	0.0	2,201.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,997.0	2,869.3	650.5	2,218.8	2,121.9	0.0	2,121.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	20.6	0.0	20.6	80.0	0.0	80.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	287.0	162.8	0.0	162.8	122.6	0.0	122.6
702	თავდაცვა	45.7	50.3	0.0	50.3	61.9	0.0	61.9

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	173.8	174.4	0.0	174.4	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	173.8	174.4	0.0	174.4	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4,480.2	8,106.3	6,913.3	1,193.0	826.5	0.0	826.5
7045	ტრანსპორტი	1,093.9	3,005.1	2,517.4	487.7	300.0	0.0	300.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	974.9	2,843.5	2,517.4	326.1	200.0	0.0	200.0
70454	საჰაერო ტრანსპორტი	119.0	155.0	0.0	155.0	100.0	0.0	100.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	6.6	0.0	6.6	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3,386.3	5,101.2	4,395.9	705.3	526.5	0.0	526.5
705	გარემოს დაცვა	3.1	19.9	0.0	19.9	0.0	0.0	0.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.6	19.9	0.0	19.9	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	735.5	441.2	49.0	392.2	70.0	0.0	70.0
7061	ბინათმშენებლობა	76.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	536.6	305.7	49.0	256.7	0.0	0.0	0.0
7064	გარე განათება	100.2	128.5	0.0	128.5	70.0	0.0	70.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	22.5	7.0	0.0	7.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	60.3	46.2	0.0	46.2	42.1	0.0	42.1
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	60.3	46.2	0.0	46.2	42.1	0.0	42.1
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	842.8	2,064.2	856.3	1,207.9	982.2	0.0	982.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	390.7	1,454.3	856.3	598.0	463.1	0.0	463.1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	433.4	581.6	0.0	581.6	495.8	0.0	495.8
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2.6	3.3	0.0	3.3	3.3	0.0	3.3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	16.1	25.0	0.0	25.0	20.0	0.0	20.0
709	განათლება	932.5	1,649.6	458.5	1,191.1	1,060.7	0.0	1,060.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	825.8	1,538.0	458.5	1,079.5	944.7	0.0	944.7
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	99.8	111.6	0.0	111.6	116.0	0.0	116.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	6.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
710	სოციალური დაცვა	459.8	791.3	56.0	735.3	462.0	0.0	462.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	78.6	93.6	0.0	93.6	103.1	0.0	103.1
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	295.0	545.6	56.0	489.6	290.0	0.0	290.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	8.6	13.7	0.0	13.7	0.0	0.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	77.6	138.4	0.0	138.4	68.9	0.0	68.9
	სულ	10,017.7	16,396.1	8,983.6	7,412.5	5,829.9	0.0	5,829.9

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 263,5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,677.9	-5,599.5	-4,198.3	-1,401.2	0.0	0.0	0.0
ზრდა	2,677.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	2,677.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	5,599.5	4,198.3	1,401.2	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	5,599.5	4,198.3	1,401.2	0.0	0.0	0.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-263,5) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 110,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 42,1 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 61.9 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 6,0 ათასი ლარი.

2.„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი-ს“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1.თავდაცვა და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით მომსახურება და სარეზერვო ძალების მობილიზება.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. დუშეთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით მომსახურება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, კეთილმოწყობის სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. ასევე მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტი მაღალმთიანი სოფლებისათვის, სადაც დიდ თოვლობის დროს ავტოტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. საჰაერო ტრანსპორტი ამ დროს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას მაღალმთიანი სოფლებისთვის.

2.1.1 გზების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა - შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება დუშეთის მუნიციპალიტეტის გზების მშენებლობა - რეაბილიტაცია.

2.1.1 საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეწყერების, დიდთოვლობის შედეგად ჩაკეტილი გზების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, შატილსა და არხოტში საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, დასუფთავების ღონისძიებები, მაწანწალა ძაღლების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

2.2.1 გარე -განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება დახარჯული ელ. ენერჯის ხარჯი.

2.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

დღევანდელ დროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში, რისთვისაც მნიშვნელოვანია სპორტული ობიექტების მშენებლობა, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროა ქალაქის გამწვანება, ბაღების და სკვერების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა.

2.3.1 ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

- ქალაქის, დაბების, რიგი სოფლების დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში;
- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნისათვის ტერიტორიის გამწვანება, ნარგავების მოვლა–პატრონობა, გამწვანების ზონაში ყვავილების და სხვა დეკორატიული მცენარეების დარგვა;
- ქ. დუშეთის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

2.4 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. აუცილებელია სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება პანსიონების დაფინანსება მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით.

3.1 სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 650-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი

აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს 2 ლარს. 2016 წელს დაგეგმილია სოფ. ბულაჩაურში საბავშვო ბაღის გახსნა.

3.2. მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს მადაროსკარის, ბარისახოს და შატილის პანსიონებს. პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 48-ს. კვების ხარჯი ერთ ბავშვზე შეადგენს 2,50 ლარს, რაც მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვების ხარჯების გარდა, მუნიციპალიტეტი აფინანსებს პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე აფინანსებს ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ტარდება მუნიციპალური, რეგიონული, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდობაში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში; დუშეთის სპორტულ სკოლას წარმატებები აქვს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კრივში, ნიჩბოსნობაში. აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება.

4.1.2 სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ და მისი ფილიალის სასპორტო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 10 სახეობა (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, კრივი, კარატე, ტანვარჯიში, ძალოსნობა), სადაც მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 400-ს.

4.1.3 საფეხბურთო კლუბ „არაგვის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საფეხბურთო კლუბ „არაგვის“ დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს: საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის საწევრო გადასახადს, ფეხბურთელთა ტრანსპორტით მომსახურებას, შეკრების ხარჯებს და სხვადასხვა ინვენტარისა და უნიფორმის შეძენას.

4.1.4 რაგბის კლუბის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დუშეთის რაგბის კლუბის დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს: საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის საწევრო გადასახადს, რაგბისტთა ტრანსპორტით მომსახურებას, შეკრების ხარჯებს, სხვადასხვა ინვენტარისა და უნიფორმის შეძენას.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ღონისძიებების სიმრავლით, რაც ხელს უწყობს, როგორც ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი იდეების რეალიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის, კულტურული სტატუსის დამკვიდრებას.

პროგრამა გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა და დაფინანსება. მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება.

4.2.2 სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

სახელოვნებო განათლება ქვეყნის კულტურისა და განათლების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, როგორც ქართული კულტურის სულიერი და მატერიალური

მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ხელოვნების განვითარების, ისე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფის საკითხში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს ხატვის, ძერწვის, თექაზე მუშაობის, ლიტერატურის, საეკლესიო საგალობლების წრეები, სადაც სწავლობს 110 მოსწავლე.

4.2.3 ბიბლიოთეკების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 05 02 03)

ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული განვითარების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში, 2016 წელს გაგრძელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის ალ. როინაშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა, ანანურის, ფასანაურის და ჭოპორტის სასოფლო ბიბლიოთეკები. აღნიშნული ბიბლიოთეკები ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალურ განვითარებას და მოსახლეობის საჭირო ლიტერატურით მომარაგებას.

4.2.4 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება დანიელ ჭონქაძის მემორიალური და დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, რაც ხელს უწყობს ტრადიციული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ტურისტების გათვითცნობიერებას ადგილობრივ კულტურასთან.

4.2.5 კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

